

პრესრელიზი



„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ ინიციატივით სამთო საქმის სწავლება უახლესი -
მოდულარული მეთოდით იწყება



საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის ინიციატივით, განათლების სამინისტროს ხარისხის მართვის ცენტრში, ავტორიზაცია გაიარა სამთო საქმის სამმა პროგრამამ, რომელიც განხორციელდება ტყიბულში არსებული კოლეჯის „სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო

ტექნოლოგიური ინსტიტუტის“ და შპს „საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)“ ბაზაზე.

სწავლება განხორციელდება უახლესი - მოდულარული მეთოდით, რაც გულისხმობს რომ პროგრამის 50%-ზე მეტი უშუალოდ წარმოების პროცესში განხორციელდება და კურსდამთავრებულებს ექნებათ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნა.

„სამთო მექანიკოსისა“ და „მყარი წიაღისეულის გამდიდრების“ პროფესიებს და დასაქმდნენ შპს „საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)“-ში ამ სპეციალობებით.

„სტუდენტთა ახალი ნაკადის მიღება სულ მალე დაიწყება. ვიმედოვნებთ, რომ ახალგაზრდები აქტიურად ჩაერთვებიან პროგრამაში, სამომავლოდ კი კვალიფიციურ კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა



პრესრელიზი

ექნებათ დასაქმდნენ ჩვენს კომპანიაში.“- განაცხადა „საქნახშირი ჯი-აი-ჯის“ გენერალურმა დირექტორმა ჯამბულ ჯაყელმა. მისივე თქმით საწარმომ უკვე იზრუნა კოლეჯის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური ინვენტარით უზრუნველყოფაზე.

შეგახსენებთ , რომ საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის ინიციატივით, მიღწევადი ფროფესიებისადმი ინტერესისა და ახალი ტექნოლოგიური გამოწვევების შესაბამისი კადრების გადამზადება. ახალ პროგრამებზე და თანამედროვე მეთოდოლოგიებზე „ჯი-აი-ჯი“ განათლების სამინისტროსთან ერთად თითქმის ერთი წელი მუშაობდა. ხარისხის მართვის ცენტრში სამთო საქმის სამმა პროგრამამ აკრედიტაცია 2018 წლის 20 მარტს მიიღო.

კომპანია “ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

